ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 2 1883—1896 3 თებერვალი,

ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

ამა წლის 26 იანვარს, ნაშუაღამევის ორს საათზე, მძიმე და ხანგრძლივი ავად-მყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ოცდა-თხუთმეტი წლის ფრიად ძნელი და მომღალავი სამსახურის შემდეგ, ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა წარსული წლის ივნისის თვეში გამოითხოვა უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან ორი თვით სამსახურიდამ დასვენება. მათ მეუფებას იმერეთის ეპარქიის მმართვის დროს ერთხელაც არ გამოუთხოვია მთავრობისაგან სამსახურიდგან დროებით დასვენება. და ეხლაც მღვდელ დაეთანხმა ექიმების რჩევას, რომელთაც (ექიმებმა) შენიშნეს, რომ მათი მეუფება მეტის მეტი დაქანცული იყო. უწმიდესმა სინოდმა მისცა მათ მეუფებას ორი თვით სამსახურიდამ მოსვენება. ერთი თვე ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა გაატარა ბორჯომში, რომლის მშვენიერი ჰავა თვალსაჩინოდ რგებს ისეთ ავად-მყოფებს, რომელნიც მომეტებული შრომისაგან არიან დაქანცულნი. ერთი თვე გაატარა გელათში, მაგრამ ამ თავისუფლების დროსაც მათი მეუფება მუდამ თავისს ეპარქიის საქმეებზე ფიქრობდა და მისი ჯავრი აწუხებდა. ორი თვის შემდეგ სხვა და სხვა ავად-მყოფობას და სისუსტეს, რომელიც შედეგი იყო მათი მეუფების დაღლილობისა, თან დაერთო რაღაცა გამოურკვეველი გულის

წუსილი, რომლისა გამო მათ მეუფებას არ ჰქონდა ძილი და მოსვენება და მეცადინეობაც უძნელდებოდა. ამისათვის მათმა მეუფებამ გადასწყვეტა სრულიად თავი დაენებებინა სამსახურისათვის და მოსვენებით ეცხოვრა. მაგრამ მასთან დახლოებული და ერთგული ჰირების რჩევით და ექიმების დარწმუნებით, რომ მათი მეუფება სანგრძლივი მოსვენების შემდეგ გამომთელდება, სელმეორეთ გამოითხოვა მათმა მეუფებამ უწმიდესი სინოდისაგან ექვსი თვით სამსახურისაგან განთავისუფლება. ამ დროის განმავლობაში მათი მეუფება ორ გზის გაცივდა და ამ გაცივებამ მომეტებულად დაასუსტა ოთვლად სამღვდელო. უკანასკნელად მათი მეუფება 18 ივნვარს გაცივდა. ამ დღიდგან მათ მეუფებას დრო გამოშვებით აცივებდა და სიცხე 40° მეტი ჰქონდა ხოლმე. ექიმებმა ოთვალივე საშუალება იხმარეს, რომ სიცხეს დაეწია, მაგრამ ვერ მოახერხეს. მათ მეუფებას დაეკარგა მადა და სრულიად შეიმეულა საჭმელ-სასმელი. ამ დღიდგან ეველანი დარწმუნდენ, რომ მათი საეგარელი მღვდელ-მთავარი მალე საუკუნოდ გამოეთხოვებოდა თავისს სამწუსოს, მათმა მეუფებამ ავადმყოფობის დროს რამდენჯერმე მიიღო წმ. ზიარება. იმ ზარდამცემი მწუსარებისა გამო, რომელიც ოთვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებამ მოახდინა ეველაზე, ჩვენ დღეს აქ მოკლეთ მოვიეანთ მათი მეუფების ცხოვრების აღწერას,

ოთვლად სამღვდელო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

ეოვლად სამღვდელო გაბრიელი (ერის კაცობაში ახნაური გერასიმე ქიქოძე) იეო ოზურგეთის მაზრის, სოფლის ბასგის მცხოვრების მღვდლის შვილი, იგი დაბადა 1824 წელში. მინაური განათლება მიიღო თავისი კეთილ-მორწმუნე მშობლებისაგან, რომელთაც თავისს ჰატარა, ადვილად შემთვისებელ და ნიჭიერ შვილის გულში დანერგეს ჭეშმარიტი სიყვარული ღვთისა, ტაძტისა, სამშობლოისა და განათლებისადმი. როცა გერასიმე შკოლაში შესაყვანი მეიქმნა, იგი ჰირველად თბილისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში მისცეს, აქედგან იგი შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ სემინარიიდგან სამი წლის შემდეგ გერასიმე ჰირველად გადავიდა ჰსკოვის სემინარიაში და შემდეგ ჰეტერბურგისაში, *) ჰეტერბურგის სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ჰეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, სადაც 1849 წელს მაღისტრის ხარისხით დამთავრა სწავლა. სამსახური დაიწყო თბილისში. იგი დანიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპეკტორად და ამავე დროს ასწავლიდა ღვთის-მეტყველებას, ფიზიკას და მატემატიკურ საგნებს. 1854 წელს იგი მღვდლად აკურთხა ან უკვე განსვენებულმა ჰეტერბურგის მიტროპოლიტმა ისიდორემ, რომელიც ამ დროს საქართველოს ექსარხოსად იეო და დანიშნა დედათა ინსტიტუტში საღმრთო სჯულის მასწავლებლად. მაგრამ ღვთის განგებით მას უფრო უმაღლესი სამსახური მოელოდა. სულ მოკლე დროში მას გადაეცვალა მეუღლე და ყველა შვილები. 1858 წელში ბერად აღიკვეცა და სახელად ეწოდა გაბრიელი. შემდეგ წელში, 6 იანვარს, აღვანილ იქმნა არქიმანდრიტის ხარისხზე, 6 დეკემბერს სელდასხმულ იქმნა გორის ეპისკოპოსად და დანიშნა საქართველოს საექსარხოსოს ქორ. ეპისკოპოსად. 1860 წელში ეოვლად სამღვდელო გაბრიელი დანიშნეს იმერეთის ეპისკოპოსად, სადაც 35 წელიწადი იმსახურა.

ეოვლად სამღვდელო გაბრიელს სწორეთ იმ დროს ხვდა იმერეთის ეპარქიის მმართველობა-განგება, როცა ეს ეპარქია მთლად დაცემული იეო. ეოვლად სამღვდელო გაბრიელის წინამოადგილენი იეენენ ეპისკოპოსი ექვთიმე თავად წულუკიძეების გვარეულობიდან და ეპისკოპოსი გერმანე, რომელთაც მხოლოდ მინაური სწავლა ჭქონდათ მიღებული. ეოვლად სამღვდელო გერმანეს დროს იმერეთის ეპარქიაში სუფევდა სრული უწესობა. რამდენათაც სამწუხარო იეო დარიბული მდგომარეობა ეკკლესიებისა, ორი იმდენად საბრალო მდგომარეობაში იმეოფებოდა სამღვდელოება გონებითად და ნივთიერად. სწორეთ სატირალ მდგომარეობაში იეო იმერეთის ეპარქია, როცა ეოვლად სამღვდელო გაბრიელი დანიშნა ამ ეპარქიის კათედრაზე.

მთელს საქართველოს საექსარხოსოში ეოვლად სამღვდელო გაბრიელი ერთად ერთი ჰირი იეო ადგილობითი ეველა ეპისკოპოსებში, რომელსაც მიღებული ჭქონდა უმაღლესი განათლება მაღისტრის ხარისხიო.

მათი მეუფება დიდის ბეჯითობით და თავდადებით შეუდგა მისდამი რწმუნებული ეპარქიის ჯეროვანს წესში მოყვანას. მათ შენიშნეს, რომ ამ ეპარქიის ასე დაქვეითების მიზეზი იეო გაუნათლებლობა, რომელიც ერთგვარად სუფევდა როგორც სამღვდელოებაში ისე სამწესოთა შორის. მათმა მეუფებამ დაინახა, რომ სალხი მოკლებული იეო გონიერ სწავლა-მოძღვრებას. ამავე დროს მათ კარგად ჭქონდათ

*) გერასიმე ქიქოძის ჯერ ჰსკოვის და მერე ჰეტერბურგის სემინარიაში გადასვლა იმან გამოიწვია, რომ იგი იზრდებოდა ერთი მსწავლებლის ხარჯით, რომელიც გერასიმეში ხედავდა დიდ ნიჭს და სადაც ამ მსწავლებელს გადამწუსებენ, გერასიმეც თან მიჰყავდა.

1859 1 ანვ. 35 34
37+5=42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგნებული, რომ პირდაპირი დარიგება უფრო მოქმედებს კაცზე, ვიდრე ფორმალური მიწერილობანი და ამიტომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა იწყო სწავლა-მოძღვრება, რომ თავისი ცხოველი სიტყვით ხალხში აღემაღლებია სარწმუნოება და ზნეობა. ამ მიზნით მათი მეუფება ყოველ წლობით მოგზაურობდა თავისს ეპარქიაში ცხენით ანუ ჯორით; წელიწადში, თითქმის, 1500 ვერსამდე გაივლიდა. ყოველი ეკლესიის დათვალიერების დროს, კრებდა ამ ეკლესიის მრევლს ეკლესიის გალავანში და დიდხანს ესაუბრებოდა მასს, ასე რომ დღეში 3—4 მოძღვრებას მაინც იტყოდა ხოლმე ღვთის-მსახურების გარეშე დროს და ამ მოძღვრებათა საგნად იღებდა ხალხის სულიერ საჭიროებას. ეპარქიის დახედვის დროს მათი მეუფების მოგზაურობა ყველას აკვირვებდა. მისს წინა მოადგილეებს ეპარქიაში ჩამოვლის დროს თან ახალდა დიდ მალი კრებული. ითამ მეუფება კი შებმანდებოდა ცხენზე ან ჯორზე, თან იახლებდა ადგილობით ბლაღოჩინს, კლეინიკს და მეჯინიბეს. ქადაგების წარმოთქმის დროს შედგებოდა მომაღლო ადგილზე, ან სასაფლაოს ქვაზე და ან ხის ნამორზე, რომ ყველა მსმენელისათვის მიეწვდინა თავისი სიტყვა. ეპარქიაში მოგზაურობის დროს მათი მეუფება დაუხედავს არ ტოვებდა არც მივარდნილ და მიუვალ სამრევლოებს. ყველამ უწყის, თუ დღესაც რა მიუვალი კუთხეა სვანეთი უგზობისა გამო და უწინ რაღა იქნებოდა, მაგრამ მათ მეუფებას ეს კუთხეც არ გაუშვია დაუვლელი, თუმცა არც ერთი მათი მეუფების წინა მოადგილე არ ყოფილა სვანეთში, სვანეთის მიუდგომელ და ციცაბო კლდეებზე მოგზაურობის დროს მათი მეუფება ხან ცხენის კუდს მოსჭიდებდა ხელს და ხან ოთხით მიფორთხავდა, რომ სვანებისათვისაც მიეწვდინა სიტყვა. მაგრამ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის შრომა-მოღვაწეობა ერთი-ორად გაორკეცდა მას შემდეგ, რაც 1869 წელში კავკასიის ნამესტნიკად ყოფილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის თაოსნობით იმერეთის ეპარქიას შემოუერთდა აფხაზეთის ეპარქია და 1873 წელში სამეგრელოს ეპარქია. მათ მეუფებას ამ ახლად შემოერთებულ ეპარქიებშიაც ისეთივე შრომა მოუხდა, როგორც იმერეთის ეპარქიაში დანიშვნის დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამეგრელოს ეპარქია უფრო გახრწნილი იყო, ვინემ იმერეთისა. თითქმის თვეობით რჩებოდა ხოლმე მათი მეუფება აფხაზეთში, სადაც მათი მოღვაწეობით და შეგონებით 18,100 აფხაზმა მიიღო ქრისტიანობა.

ყოვლად სამღვდელო გაბრიელის დაულალავი მოღვაწეობის ნაყოფი ყველას თვალწინა გვაქვს: მისი მეუფების მეცადინეობ თ და შეგონებით იმერეთის ეპარქიაში აღშენდა რამდენიმე ასი ქვიტკირის და ხის ახალი ეკლესიები; ქუთაისში მათი მეუფების თაოსნობით აშენდა მშვენიერი საკათედრო ტამარი, წმიდა გიორგის და საფირჩხიის ამაღლების ეკლესიები, აღშენდა ვრცელი შენობა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლისათვის, მათი მეუფების მეცადინეობით გაიხსნა სამრევლო სკოლები, რომელთა დაარსების გამო მათ მეუფებას დიდი უსიამოვნება შეხვდა ამ სკოლების მოწინააღმდეგე პირებთან; მათი მეუფების დაუცხრომელი მეცადინეობით ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომლისათვისაც მუქთად მოიპოვა მათი მეუფების საყვარელი ადგილი, რომელიც აგრეთვე მოიწონეს უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა ვლადიმირ კ. საბლერმა, საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა და ექიმებისა და ხუროთ-მოძღვართაგან შემდგარმა კამისიამ; მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუფეების მეოსებით დაარსდა საქალებო ეპარქიალური სასწავლებელი და დაარსებულ იქმნა სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთათვის სამშობ ნველო. ბევრი რამ სანახსოვრო დასტოვა დეფისამერ განსვენებულმა მეფეელ-მთავარმა, მაგრამ ამაებსედ შემდეგ მოველაპარაკებით მეოხველებს.

თუმცა მათ მეუფებას ბევრი საქმეები ჰქონდა სამსახურში შესვლის დღიდან, მაგრამ წიგნების კითხვას მაინც კიდევ არ ანებებდა თავს, რომ კიდევ უფრო გაეფართოებია თავისი სწავლა-მეცნიერება, ეგი მუდამ კითხულობდა ფილოსოფიურს, ჰისტორიულს, ფეოლოგიურს და ფეთის სამეტყველო წიგნებს, 1858 წელში მათმა მეუფებამ გამოსცა ჰისტორიის სასწავლ-მმდგანელო წიგნი, რომელიც სასწავლებლებში მიღებულ იქმნა სასწავლმდგანელოდ. მათი მეუფების ქადაგებანი დაბეჭდა სამს ტომად ქართულს ენასე და ერთი ტომიც რუსულს ენასე. ამ ქადაგებათა ბიბლიოგრაფიული განხილვა მოეგანილი იქმნება ჩვენს გამოცემის შემდეგ ნომრებში.

ამ სახით ეოველად სამდეგელო გაბრიელმა თავისი დაუღალავი მოღვაწეობით, სიმართლის გზაზე უეურეველად მსველელობით, ეველა ჰირებთან და სხვა და სხვა გარემოებათა შესასებ თავისი მართალ-მსაჯული, გულახდილი და დუფარავი მოქცეეთ დასაველეთის საქართველოს ეპარქიები, განსაკუთრებით იმერეთის ეპარქია, იმ მდგომარეობაში მოიეგანა, რომელშიაც თითოეული ჩვენგანი ხედავს მასს. ამ ეპარქიებში მათმა მეუფებამ სასურველი წეს-წეობილება დაადგინა და ბევრი რამ შესაფერად მოაწეო, მაგრამ ამ კმეულებული და დაუღალავი შრომით მათმა მეუფებამ დაქანცა თავისს ძალა და თავისი სიცოცხლე შესწირა თავისი საეკარელ სამწესოს. სამდეგელოება და ხალხი, რომელმაც შეიტეო თავისი საეკარელი მდგელ-მთავრის გარდაცვალება, მწუხარედ დეგრის ცრემლებს და ეველანი თავიანთ ნაცნობებთან შესვედრის დროს ეკითხებიან ერთმანეთს: „ვინ გაგვიწეებს ჩვენ ჩვენი მეირფაში მდგელ-მთავრის გაბრიელის მაგიერობას?“

დეკ. დ. ლმბაშიძე

უკანასკნელი დღენი ყოველად სამდვდელო გაბრიელისა და ფსის აგება:

ეოველად სამდვდელო გაბრიელი ამ უკანასკნელ წელს მეტის-მეტი ძლიერეელი მეიენა. როგორც კი საქმეებიდან მოიცდიდა, დღე და ღამე ლოცეულობდა. ლამით, დაამინებდა თუ არა ლოტს, ეაზადებოდა, დაბანდა პირს, აეეებდა ლოტეას და, თითქმის, ეთეენებდა. და ლოცეულობდა. 23—26 ინვარს ეოველად სამდვდელო გაბრიელი ძლიერ ტუდად მეიენა. ადარეიის ადამ ქალაბრაკეობდა. თავისს ნათესავების კითხვაზე დიდის გაკვირვებით ძალიან მასუხეს. განსეენების წინა დღით მათი მეუფება შემდგ სატეეების იმეორებდა: ღმერთო მოწყალე მექმენ მე ცოდეილსა, ხალო სულის ამოსელის წინათ იმეორებდა: მომიხსენე მე, უფალო, როდეს მოხვედე სუფეეთა შენითა. განსეენებულია, რომ მათ მეუფებას პასუხის მიცემა უკვირდა და ამ სიტეეებს კი ძლიერ გაკვეეეთ იმეორებდა. ამ სატეეების განმეორებაში ნაშეალმეეის ორ საათზე წუნარად და მშვიდობით სუფეეთ მიმძინარ მათმა მეუფებამ,

26 ინვარს, დილით ეკლესიების ზარების სამგლოვიარო ხმამ ეველას აუწეა მათი საეკარელი მდგელ-მთავრის გარდაცვალება. ამ დღეს მეტად ცუდი ამინდი იეო. ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ ქალაქშიაც კი შეიარა ზეაი. მაგრამ მიუხედავად ამისა მრავალი ხალხი მოაწედ მათი მეუფებას სასსენებლად, რომ თავანეი ეყო საეკარელი მდგელ-მთავრის გეიმისათვის. ვისაც თავისი თავიდან არ ენახვა, ბევრი წერილობებს, თუ რამდენად შეაწეხა ხალხი მათი მეუფების გარდაცვალებამ. ეველანი, თითქო, ეჯერეეეეენი იდგენ მათი მეუფების კუბოს წინაშე და ეზიამად ცრემლსა ღვრიდენ და ტირიდენ მათ მეუფებას, როგორც თავის საკუთარს მამას, თავისის მასწავლებელს და კეთილს მეოველს.

სამს თებერვალს, დღით შაბათს, დილის ცხრა საათზე, განსეენებული მდგელ-მთავრის სხლში შეეკრიბა მთელი ქალაქის და მახლობელი სოფლებიდამ ჩამოსული სამდვდელოება ეოველად სამდვდელო ბესარიონის, ალეეკრდის ეპისკოპოსის ენაბოლობით, მოვიდა ქალაქის ეველა წოდების წარმომადგენელნი და ეუარებელი ხალხი, რომეკ სქესისა. შეიქნა ეკლესიებზე ზარების სამგლოვიარო რეკა, რომელმაც აუწეა ხალხს მათი საეკარელი მდგელ-მთავრის გეიმის წამოსეენებლ მათი მეუფების სასსენებლიდან ქეთაისის საკრებლო ტა-

ძარში. მოკლე ლიტიის შესრულების შემდეგ, კუნო ასსვენეს კეკლუთის ეპისკოპოსმა სერგეოზმა, ქუთ. სას. სემინარიის რექტორმა ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, ჯერუნკის მონასტრის ეპისკოპოსმა ბესიმაიმ, ოკეანეთის მონასტრის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ და დეკანოზებმა კიბრიელ ტაბარეშვილმა და დავით ლომაშიძემ. ბრიტანეთა ეპისკოპოსის მოიდამ კიბრიელის ქუჩით კუბეზაკრ ქუთ. საკრებულო ალექსანდრიანეულის სობორში. ოროგორც კი კუნო შეასვენეს ტაძარში, მაშინვე დაიწყო წირვა. მწირველი ბრძანდებოდა ეოკალდ სამღვდელო ბესარიონი ზემოთ აღნიშნული სამღვდელო პირთა თანხლებით. განცხადების დროს გრძელი სიტყვა წარმოსთქვა კათედრის დეკანოზმა გ. ტაბარეშვილმა. წირვის კითხვების შემდეგ მათმა მეუფემამ ბესარიონმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა. წესის აგებაში მონაწილეობა მიიღო ზემო აღნიშნულ პირთა გარდ მრავალმა დეკანოზებმა და ეპიკოპოსებმა. წესის აგების დროს, პირველი სასაროების წაკითხვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სემინარიის რექტორმა ეპიკოპოსმა დიმიტრიმ. მეორე სასაროების შემდეგ— სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა მ. იოსეფ ჭკუაშვილმა, დიაკონის კიბოთხოვების წინეთ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა დეკ. დავით ლომაშიძემ. ეკლეს ეს სიტყვები შემდეგში იქნებიან დაბეჭდილნი. წირვის და წესის აგების დროს კეკლუთის ორი გუნდი მგალობელთა რუსულად და ქართულად.

განსვენებულმა მეფეკალ-მთავარმა დასტოვა მოკლე-კეკლუთისთხოვარი სიტყვა, რომელი სიტყვაც განსვენებულის სერგეოზისაშვრ წაკითხულ იქმნა წესის აგების დროს ეს სიტყვა:

«სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

წყალობითა ღვთისათა, მიეალწიე რა მიდრეკილთა ღღეთა ცხოვრებისა, გარნა მყოფი სრულსა მეხსიერებასა შინა, განეიზრახე დაწერა საკუთარი ხელითა ამა ანდერძისა.

1-ად ესთხოვ შენდობასა, მოტოვებასა ყოველთ, ვინც მიცნობდა, რაჲცა მათ ესცოდე, ეაწყენინე, ანუ ეინიცობაა უსამართლოება უყავი. ჩემის მხრით მიუტევენ და შეუნდობ ყოველთა, ეინც რაჲმე მაწყენინა, დაჩაგრა, ანუ უსამართლოება მიყო.

2-ედ ემადლობ და ეაკურთხე ყოველთა, რომელნი იყვნენ სამწყსოთა შინა ჩემთა, გამოეითხოვ მათთვის ღვთისაგან წყალობასა, მშვიდობასა. გულით და სულით ემადლობ მათ, რომელნი მე მწყალობდენ, მეწყალობენ, უყვარდი. ემადლობ და ეკურთხე მათ, რომელნი იყვნენ ჩემი თანამახურნი წინაშე ტრაპეზისა, თანაშემწენი მართვასა შინა სამწყოსისა; აგრეთვე შინაურთ მსახურთა, რომელთაგან მრავლითა თავდადებითა და ერთგულებითა მიადგილებდენ უძღურებათა ჩემთა.

მე 3-ედ ეევედრები ყოველთა, რომელნი გაგონებენ ჩემსა გადაცვალებასა, ლოცვა ჰყონ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის. ხოლო სამღვდელოება, ეეაე, წირვასაც შეასრულებს ჩემი სულის განსასვენებლად, ვინაიდგან თითქმის ყოველნი ჩემ ხელთა-გან არიან მიმღებნი სალრმთოისა სულის წმ. მადლისა.

მე 4-ედ ხორცეელთა ნათესავთა ჩემთა უანდერძებ: ყოველთვინ სწეელობდენ, შრომობდენ, პატიოსნად ემსახურებოდენ ღმერთსა, ხელმწიფესა, მოყეასთა ცხოვრობდენ თანხმობით, ეწეოდენ ურთიერთარს, არ ეიეწყებდენ, რომ მათი წინაპარნი უხსოვრისა დროისაგან იყვნენ მსახურნი ტრაპეზისანი, ატარებდენ პატიოსნად და შრომით ცხოვრებასა. რაოდენნიც შესაძლო იყო, მე ეეწეოდი მათ, ახლა ესთხოვ ყოველთვინ ილოცონ ჩემი სულისათვის.

ეს პირველი ნაწილი ანდერძისა ესთხოვ, ეისაც ჯერ არს, იქმნეს წაკითხული ნაწირვებს, ანდერძის აგების წინ».

განსვენებული მეფეკალ-მთავრის დასაფლეკვა მასივე სოფლიდან დანაშნული იყო ეკლეთის მონასტერში, მაგრამ, რადგან დიდი თოვლისა გამო ქუთაისსა და ეკლეთს შორის გზა შეკრულია, მათი მეუფეობას ეკმის გადასვენება სსვენებულს მონასტერში გადიდეს დიდი მარხვის მეორე კვირისათვის. მათი მეუფეობის დასაფლეკვების დღე შემდეგ იქნეს გამოცხადებული.

ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი 1890 წელში ავად გახდა. იგი შიშობდა, რომ ეს ავად-მყოფობა არ გაძლიერებოდა. იმ დროში ძლიერ გაეცელებული იყო ინფლუენცია. ამისთვის მისმა მეუფეებამ შეადგინა ანდერძი: თავის ქონებისა და ფულების შესახებ, რომელიც მას დარჩებოდა განსვენების დროს. აი მოგეყვანა ამ ანდერძიდან ზოგიერთი ადგილები:

«წმიდა ხატებიდან ორი, მაცხოვრის და ღვთის-მშობლისა მოგეფილი ხატები ჩამოიკიდოს ჩემ სასაფლაოსთან გაუკრობელი კანდელით, რომელიც დღესაც ჰკიდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხატების წინ. ყველა სხვა ხატები, და აგრეთვე რუსული და ქართული საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები, გაიგზავნოს გურიაში სოფელ ბახვის ეკკლესიაში.

ძვირფასს პანაგიას, რომელიც მიბოძა მე ხელმწიფე იმპერატორმა, და აგრეთვე ძვირფასს არქიმანდრიტის ჯვარს ალმასებით მორთულს, რომელსაც მე ვხმარობდი ღვთის-მსახურების დროს, ვსწირავ ქუთაისის ტაძრის სალაროს. მეორე პანაგია, რომელიც უფრო უკეთესი იქნება, მიერთვას პირველს მღვდელ-მთავარს, რომელიც დაესწრება ჩემი წესის აგებაზე, და გარდა ამისა ფულითაც იქმნეს დასაჩუქრებული. მესამე პანაგია მიერთვას მეორე მღვდელ-მთავარს, თუ მეორეც დაესწროს და მასთან შრომისათვის ფულებიც მიეცეს. თუ მეორე ეპისკოპოსი არ დაესწროს, მაშინ ეს პანაგია გადაეცეს იმავე ქუთაისის სობოროს. თუ ჩემს შემდეგ დარჩეს ხეირიანი ახალი ანაფორები და კაბები, ესენი მიერთვას წესის აგებაზე დამსწრე არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და არხი-დიაკვნებს და აგრეთვე იგინი დაჯილდოებული იქმნენ ფულითაც, ხოლო კრებულის მცირე წევრებს მიეცესთ ფული. დანარჩენი უფრო ნაკლები ტანთ-საცმელი, საცვლები, სტოლის საფრები, ქვეშსაგებელი დაურიგდეს არქიერის გორაზე მცხოვრებს და სხვა ღარიბებს. ხეირიანი ნოხები გელათის ტაძარს, ხოლო ძალიან ძველები ქალაქის ღარიბებს; მათვე დაურიგდეს სტაქნები, ბლუდები, ჩაის კოვზები (გარდა ვერცხლისა); ასევე მოიქცნენ სამზარეულოს ავეჯეულობის შესახებ, ე. ი. მიეცეს ღარიბებს. ვერცხლის ყველა ნივთები, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგ დარჩება, გაიყიდოს და ფულები დაურიგდეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, ანუ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა.

ჩემს პატარა წიგნთ-საცავს, ჩემი ანდერძის აღმასრულებელნი ასე უნდა მოეპყრან: ყველაზე უწინარეს მოიწვიონ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფ. ზედამხედველი, მისი თანაშემწე და ამავე სასწავლებლის სამმართველოის ერთი წევრი და მათ მიეცესთ ნება ამოირჩიონ ჩემი წიგნთ-საცავისაგან ყველა ის წიგნები, რომელნიც სასარგებლო და გასაგები იქნება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთათვის და სახელდობ საბავშვო ჟურნალები, ნახატებიანი ჟურნალი «ნივა» და ყველა ქართული წიგნები და მასთან ხუთი ცალი ჩემი ქადაგებისა. ყველა ესენი წაიღონ სასწავლებელში მოწაფეთა წიგნთ-საცავისათვის. სამი ტომი ნახატებიანი დაბადებისა ტყავის ყდებში გაკეთებული გარდაეცეს იმას, ვინც იქნეს მაშინ ე. ი. ჩემი სიკვდილის დღეს ჩემ ნათესავთაგანი სასულიერო აკადემიაში მოსწავლე, ანუ სემინარიაში ბერი ანუ მღვდელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წიგნები იმავე ადგილზე დარჩეს, ჩემს მოადგილეების საკუთრებათ, ხოლო ჩემი დახატული სურათი დარჩეს იქვე, სადაც ეხლა არის. ალბომი მრავალი ფოტოგრაფიული სურათებით მიეცეს ჩემს ძმისწულს მიხეილ ათანასეს ძეს ქიქოძეს ანუ მის შვილს ჩემს მოსაგონად, კედლის სხვა სურათები იქვე დარჩნენ. ყველა სხვა წიგნები ჩემი წიგნთ-საცავისა შემიწირავს თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა წიგნთ-საცავისათვის.

თუმცა ჩემი სიცოცხლის დროსაც მე, ღვთის მადლით, ყოველთვის ვეწეოდი ყველა წოდების შეუძლოთ და ღარიბთ, სხვა და სხვა სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთ, მაგრამ ვგრძნობდი რა, რომ ასეთ შეწევნას აქვს მხოლოდდროებითი მნიშვნელობა, მე ვცდილობდი, შემედგინა თანხა, რომ ამ თანხის სარგებელი სამუდამოთ ეხმარათ ღარიბთა სასარგებლოთ. ამ თანხიდან ვსწირავ ქვემოთ მოხსენებულ სასწავლებლებს და ქველის მომქმედ საზოგადოებას:

1. ქუთაისის სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაცულს 12,200 მანეთს გიირავნობითი ფურცლებით ვუტოვებ და ვუანდერძებ სამუდამოდ ბახვის შკოლას 12200 მ.

2. იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სამზრუნველოს ორი ათას მან. 2000 მ.

3. ქუთაისის სამოქალაქო საქველ მოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის ათას ხუთას მანეთს 1500 მან.

4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის სამი -თას მანეთს 3000 მან.

5. თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ სამი ათას მანეთს 3000 მან,

6. იმერეთის ეპარქიალურს ჩემ სახელზე დაარსებულს საქალებო სასწავლებელს ხუთი ათას მანეთს 5000 მ.

7. ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებელს ორი ათას 2000 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ყველა ზემოთ აღნიშნული ფულები საშუალამოდ უნდა ინახებოდნენ ხელ-უხლებელად სარგებლიანი ბილეთებით, ხოლო მათი სარგებელი იხმარონ თანახმად ამა ანდერძისა.

8. გელათის მონასტერს ეუტოვეს ათას მანეთს, იმ პირობით რომ ამ თანხას სარგებლით ყოველ წლობით ჩემი სიკვდილის დღეს ყველა ძმებმა მიწირონ მონასტრის ყველა ეკლესიებში, და ეს სარგებელი მიეცეს ყველა ძმებს.

9. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს უანდერძებ ფულებს ჩემ თხზულებათა გამოცემისასაც პირობით, რომ გმოცემის მოგება ეძლეოდეს ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთ. ჩემ თხზულებანი პირველად გამოსაცემად, რუსულს და ქართულს ენაზე ჩემი სურვილითა, მე ეუანდერძებ იმავე სასწავლებელს ორი ათას ხუთას მანეთს. 2500 მან.

ესეთნაირ ჩემი ანდერძის აღმასრულებელთ დაუტოვებ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მოსამსახურეებს სამასი მანეთი საჩუქრად, ხვედრ ჯამაგირებს გარდა. ამას გარდა ჩემი სიკვდილის შემდეგაც დარჩებიან, როგორც ჩემს სახლში, ისე ადგილად სხვა და სხვა სასწავლებლებში მასწავლენი, რომელთაც მე ვამაღლებ შეწეობასა; ესეთნაირ ანდერძის აღმასრულებლებს, თუ შესაძლებელი იქნება, და თანხაც დარჩეს, ყველა ზემოთ აღნიშნულ გასაელის შემდეგ, ამ მოსწავლეთ მიეცეთ ერთგვაროვანი შემწეობა. ჩემი ანდერძის აღმასრულებლად ენიშნავ ჩემს მოძღვარს, რომელიც მაშინ იქნება და ჩემს ძმისწულებს მიხეილს და მოსეს ათანასეს ძეთა, ლეონტი სიმონის ძეს, სობოროს დეკანოზს და კანცელარიის მდივანს ერასტი სიმონის ძეს თუთბერიძეს.

1894 წელში ნოემბრის 19 დღესა ყოველად სამღვდელომ თავრსს პირველ ანდერძს შემდეგი დაუმატა:

1. თუ რომე მიუზეზებისა გამო ბახვის სოფლის შკოლა დაიპურება, ზემოთ აღნიშნული თანხა გადაეცეს ბახვის ყოველად წმიდა ღვთის-მშობლის ეკლესიას საკუთრებად. ასევე უნდა მოექცნენ იმ ექვსას მანეთს, რომელიც ჩემგან შეწირული აქვს ბახვის შემნახველ-გამსესხებელ კასას, თუ ეს უკანასკნელი გაუქმდეს.

2. ყოველივე ის, რაც ჩემგან ნაანდერძები აქვს თბილისის სასულიერო სემინარიას, დღეს მე ეუანდერძებ ახლა ხანს დაარსებულს ქუთაისის სასულიერო სემინარიას.

საქართველოს ძველი დროს თავ-გადასავალი.

შემდეგი *)

მსგავსს მეფე, რომელი იწოდა ალმაშენებელ, დავით სიბრძნითა აღესილი არს შრომით შეუსვენებელ, ღირსი ხსოვნისა მეფეი, მიმდევად მოსახსენებელ, ქრისტესთვის მბრძოლი, უშრომი, ღირს წმინდად-სამსახურ-ონებელ.

ბანიგულა კელავ მეფემან სალმრთოსაცვ მოგონებით, რომე თვისსა ქვეყანასა თურქნი ჰსდგანან მოსენებით, ტფილისი რუსთავ სომხითი არს მათნი სადაურ მენებით, სამშვილდესა და მთაბარებს ირიან რაზმთა ყენებით.

აფხაზეთ იწყო ამისთვის საქმისა გაგებანია, ათას ხუთასსა ტაძრეულს აქვს მასთან თანხლებანია, ჰყვეს ნაჭარმაგევს მეფეთურთ ნადირთა მორეებანია, მუნ მოახსენეს სულტანსა სპათა მძლედ შეერებანია.

დიდასა მას სულტანს რაზმთა მოსავლ ორასი ათასითა ბულოკანთა თანაშემწედ მეოფთა სჯართველისა შინა თურქთა მკვიდრად მტსაკრებთა და ჯართაცა.

ძაცი ორასი ათასი, ჯავშნისა ხეარაზეულისა, მცმელნი, მოვიდნენ, მეფეო, მპყრობნი მშვილდ მოსახულისა, თვით აქა მყოფნიც კმაობდეს ჩვენდა მპატებლად წყლულისა, აწ გმართებსთ სახელოვნება თქვენგან ბრძანად განგებულისა.

მეფესა ესმა ამბავი, მიანდო ღვთისა ნებისა, ჰბრძანა, ცოდვათა სიმრავლით, არ მიკვირს მოვიდე ენებასა: გარნა მას ვესავ, რისხვასა შინა იქმს შეწყალებასა:

---

*) იხილე «მწყემსი» № 1 1896 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრძანა თვ-სთა შიმუნეართ, ნუ იქმთო მკლაეთა კლებასა.

Iცით, გასმიათ მოყმენო, გედეონისა ბრძოლანი,
რაბამენი იყენენ მასთანა, სამასთა აქვსთ თანაყოლანი,
ზეგარდმო შიშმან მებრძოლთა ეითარ შეუდგა ძოწოლანი,
მოსრნა მახვილმან ზენამან, მტერთ შეანანეს ბრძოლანი.

Iცით, განაღა აწ ჩვენცა ეართ ახალ ისრაილები,
წმინდით ემპაზით შობილნი ჯვარითა აღბეჭდილები,
რჩეულთა ერთა წინათა ხელახლად მოადგილები,
ქრისტეს მონანი ნამდვილად, მოკიქულთ ღუწილთა შეილები.

ნუ შედრკებით, ხამს მამაცი ოცსა შინა გულ-მყარობდეს,
თავი დასდვას, სახელისა მოხვეჭასა მეშაკობდეს,
მებრძოლსა შეხვედეს გულ-ლომობითი, მას იქმოდეს,
რაცა სჯობდეს,
ძალს ესეიდეს ზეგარდამო, ღვთისა ფარავს მოიმწყობდეს.

რათ გიკეირსთ მტერთა სიმრავლე, მკალთაებრ შეკრებილებენ,
უფალი ძალთა ჩვენთანა, გვცეს ბრძოლთა დამხობილება,
ხვედრნი ეართ ღვთისა დედისა, მისგანვე დაგვეჭრილებენ,
აჰა ყამი გვაქეს, მოყმენო, ეჰყოთ მახვილთ აღმახვილება.

მეფეცა ჰსჭვრეტენ ერთგულნი მისნი თან შეზრდილებია;
ეითა ანგელოზს ღვთისასა, მას ელვა განმრავლებია;
ჰკადრეს, პატრონო არ გეიმძიმს ჩვენ თქვენთვის სიკედილებია,
თქვენთა მტერთათვის შეგეირტყამს წელზედ მახვილებია.

რაცა გეიბრძანოთ ცოცხალთა, ეჰყოთ, აღეასრულოთ თქმულები,
ტაიბენი ჩვენნი ჩვენთანა მზაობენ დაკაზმულები,
ჩვენცა გვაჩნია გულზედა დაღად თურქთაგან ქმნულები,
თუ მოგსწყდეთ თქვენთვის, დიახჯობს, ედგმს ფალხინოთ სულები.

აგრეცა გემართებს სიკედილი შინა ჯაბნურად ცუდია,
რას არგებს მამაცს მჭრე ხმალი კერას სამ მანაყუდია,
რაზმთა საშუალ გულოვანთ ხამს დაიხურონ ქუდია,
მოკვდეს და ანუ მებრძოლსა, დაუცეს მყარი ზღუდია.

აჰა, ჯვარი წინამძღვარი, Oე მეფეო, გკადრებთ ყმანი,
შეეწიოთ ძალი მისი, შეეამოკლოთ თურქთა ხმანი,
ნუ თუ მოგვცეს ხელმან თქვენმან, გაუმწაროთ სულთა დგმანი,
რომე გვაახლოს მათგან ენება, მართ გოდებად ჩვენდა კვანი.

ებრძოლა სასტიკი ჯვრიე დამყარებულისა მეფისა ადმოშენებულისა და სპარსთა ურიცხთა რაზმისა და ძლეკის შემოსა თურქთა ზედა.

შეჯდა ტაიმს დავით მეფე, ეეფხებრ იქმნა ზე მომხტომად,
ოდენ თვისნი ტაძრეულნი თან იყოლა მტერთა ომად,
მიეგება წინა სპარსთა, გაეჩვენა რისხეთი მწყობად,
მოსრეადიან ეითა სირთა, ბლიხ ვერ უძლეს წინა მდგომად.

მოსწყვიტეს სპარსთა სიმრავლე, უმალეს რაზმთა წყობანი,
სრულად აოტეს, ბედკრულთა უცუდათ გულოვნობანი,
მეფესა უჩნდა მათზედა ბრძოლა ეით თამაშობანი,
მოსრეს და შემოქცეულთა აწყეს ნაშთ-ალაფობანი.

მაშინ ჭეოინდელ გიორგი იყო მეფესა მზრდელია,
იგი მიუხდა რუსთაეს თურქთ, ჰყო ბრძოლა საკვირველია,
თურქნი მოსწყვიტნა, აღიღო შენობა იგი ვრცელია,
ზარი დაეცათ პატრონ ყმათ, მოიგეს მძლე სახელია.

ძალად განიმსტრო მეფემან თურქნი მტკვარს იორს მდგომელნი,
ზედა დაესხა მოცა-სრნა მას წინა შეხვედეს რომელნი,
აოტნა, ვერღა დგებოდეს, სადაცა იყენენ მდგომელნი,
ხშირ-ხშირად ზედა ესმოდეს მეფისა ყმანი მწყრომელნი.

შეაძრწუნეს, თურქთა შიში მეფისა აქვსთ ეითა ლომის,
სადა შეხვდის გაუმწარის მათ სიცოცხლე შეებით დგომის,
რომლსა ჰკითხვენ, შეუნიშნავს შერისხვასა ცისა ზომის,
ჰსცნეს, ბედი აქვსთ უკუღმართად, ყამი მიხვედთ ვეებშრომის.

ჩამოდგენენ თურქნი კელაე ტაოს, მიმდომნი სიმაგრეთანი,
აქვსთ შიში დავით მეფისა და ყმათა მისთა მხნეთანი,
ზარს ჰსცემდა გულსა თურქთასა მისისა ხმლისა კეეთანი,
ჰსცნა ესე მეფე დავითმან, მოიხმო გულნდინ მძლეთანი.

ალმსწრაფლა ორბებრ ფრთითა, ჯორეხს პირი შეუარნა,
მენ მოერთონენ სპანი თეისნი, ხილეა მათი განიხარნა,
თავს დაეცა ტალს ტურქთა, სისხლი ეელთა მოულეარნა,
მოსრნა ყოველნი დედა წულით, სპობა მათი არ იკმარნა.
ალწყეტნა ბასიანადმდე კარნი ფორეთურთ ყოველნი,
აღიღო მათი ალაფი, იყენენ მრავალთა მშოველნი,
მეფესა სეესა აქებდეს მას ქებებს ვინცა ცხოველნი,
გამდიდრდენ მასნი კრებულნი, სხდეს დიდებისა მპოველნი.

რასხას პირსა ზედ დიკით მეფისაგან დასხმა თურქთა ბანაგისა და მოწყეტ მათი მეფისაგან, რომელმა. ტ გასცეს ფარნობელობისთვის ბრდას ერჩასხერ, და შენით შემოელო ლორეს და მოსრნა მეწეზურნიც მეხოვრებნი თურქთა და ტახე ლორასა გამოელო, მთ მიერ მოელო ოვას ბეგსანი, დაამეცდა ადრეულობა მთა, ბეგუნს ეგზეთ და მათნი ლოკარნი გამოიეკარნ.

ქალად დაეხა რა ხის პირს, თურქნი რომე ჰსდეეს კრებულად,
ბარდას გასცურა მდინარე, იყო მწე განდიებულად,
უგრძნოდ დაეცა, ხარგანი ადგნეს ყე განმრაელებულად,
მოსრნა სიმრავლე დედაწულთ, ჰყო ტყეპით ეაგლახებულად.

წარმოიხენა ეჭამრაენი ტყეენი, უნჯნი საქონელნი,
სავეე ქმნილნი ალაფითა, მოხარულნი, იყენენ მსელელნი,
მუნით ზედა შეუქცია, ლორეს შეხედენ ხმალშაშველნი,
ციხე იპყრა, თურქთა მძორესა დაასერა ზე მფრინველნი.

მიერ შეელო ოეისკაეკასნი, ყიერაყელთა გაეუბნა,
ურთერთისა მეშურნენი შეაზაენა, შეაკეუბნა,
მოსპო მათგან მტერობანი, სიძულილის გზა გაუბნა,
სურეილისა წყარო ტკბილი უმდინარნა, არ ეგუბნა.

ბამოიყვანა მათ მიერ სპანი საკმაოდ მტერისა,
გარდმელელო გზანი იწრონენ, მართ საშიშარი მზერისა,
შინა მოეიდა შეეკმნა მათთვის დაგება სერისა,
აწ მოიყურეთ, მსმენელნო, ქმნა საქმეს მის მიერისა.

დაგით მეფისა და ალმაშენებელისაგან ეიგზავნეთ სპათა, ზედ სპასპეტთა დაეკენეს და დიუტხრომელად ბრძოლა თურქთა ზედ.

ეიეჩაეთა სპათა ეუდგინა მთავარნი სპასალარები,
მრავალნი იქმენენ მათგანნი ქრიტ: რჯულთა შენაეარები,
რომელთა გამო თურქთ დედათ ადინნა ცრემლთა ღეარები,
არღა სად მისცა ადგარი ტომთა ღელგასხარები.

ბარდაგეალი აეხაზთ მპეულს, თურქი ექმნის მიფარებულად,
შთამოვიდიან მინდორად, იქმნიან დაკარებულად,
ეკონისთ მეფე ზორმეოფად, დასდგიან განსეენებულად.

მეის მოეტყეეს ერთა ქორი, მოსწყეეტდის განრისხებულად.

ალიღო დიდი ყაბალა, მოსრა თურქი დედა-წულები,
კალაე აშორანს და გელამენჯს მოსრნა სჯულითა კრულები,
მტკეარსა და იორს სადაცა სდგეს ხლეჩითა მომახულები,
ხოცდა ჰკაფდა და სტყეენეადა, სტროდეს განწირულები.

ქალაე ბარდას მდგომთა მეფემან ურიცხვთა თურქთა კრებულსა,
მიმართა ალონს გაცურეით, ამხნოპდა თეისსა ხლებულსა,
თაესა დაეხა, ვერ სეერეტდი მენ თურქსა შეწყნარებულსა,
არ დაარჩენდეს ცოცხალთა ჩენთა, არც მოხუცებულსა.

მას მიდამოსა ყოელს კიდეს თურქნა უწყალოდ ჰკელიდიან,
განსწმენდეს იგი არენი, ეით ლელის მწეერვალთ სჩრიდიან,

განსწყდა მოლათა ხმობანი, აზამს ვერ იყეელიდიან,
სპანი მმოველელი ტურფათა მეფესა მოართმიდიან.

აღიეხნეს მეფის ლაშარნი, თურქთა მათ ნაქონებითა,
გამოელეს თეისნი გზანიეე მძიმითა ნაშოერებითა,
არ დარჩთ არცა დედანი, ჰმსხდარ იყენენ გლოეატყეებითა,
ჭირი უდეს ყოელსა თურქობას დაეითის სპათა რებითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საისტორიო მასალა.

იკონომიისათვის სამეფოსა

სამეგრელო მეფე. იკონომია საკმაოდ მოთხრობილია წიგნსა შინა ევსტატენ მეფისა Dსტორნამასა შინა წოდებულსა. ხოლო აქაცა ეაჩვენოთ მცირე რამ ზედა დართვეთ. ოდესაც იკონომია მოვა თვისსა წესსა შინა, მაშინ ყოველივე შესაძლებელ არს წარმართვად, და ამისათვის უნდა კარგნი კაცნი, მცოდნენი და მზრუნველნი გამოირჩევნენ სამსა ადგილსათვის; ქართლსა, კახეთსა და თათრებისათვის. სამეფო ყმა უნდა გაიკუნენ ზოგნი ჯარად და ხარჯის მძლეველად, ზოგნი მუშად და ზოგნი მხუნელმთესველად, და პირუტყვთა და ფრინველთა მომვლელად; ვისაც რა დებულება აძეს სამეფოს ყმასა-ესე ცხადია, ზოგნივე ისე დაშინენ იმისთვის გლეხნი კაცნი, ზოგთა ხნან და თესონ, ლეწონ სამეფოდ პური, ქერი, ფეტვი, ბანბა და სელი, ხოლო ზოგთა აკეთონ ბაღნი, ბაღჩანი და ვენახნი, ზოგთა მოუარონ ცხენართა, ძროხათა, ქთამთა, ბატთა და ესეეთართა და ეცადნენ ყოველთვის გამრავლებასა. აქუნდეს რაოდენსამე ადგილსა ბეღელნი პურისათვის და მარანნი ღვინისათვის. თათრებმან ხნან პური და შეჰკრან თახთები ბრინჯისა, მოუარონ ცხენართა, *) და ჯოგთა; და აგრეთვე თათართაცა და ქართველთაცა, სადაც კეთდებოდეს აბრეშუმი, იმასაც მუშაობდენ. და ესე ყოველივე ანგარიშით ინახებოდეს, იყიდებოდეს და თეთრად ჭგროვდებოდეს, აქედგან მეფეს ჰქონდეს გასაცემად საკუთრად თვისად მესამედი შემოსავალი. ხოლო სხვა ინახებოდეს კიდე ქვეყანისათვის ყოველსა სოფელსა შინა. აღაგონ სამეფოდ სახლები და თავლები, რაოდენ შეიძლებოდეს; ამისათვის, ოდესაც მეფე წაბძანდეს სადმე, არა შეაწუხონ გლეხნი კაცნი, სახლისათვის. და ჰყვეს მას მიჩენილნიცა კაცნი, აგრეთვე გააკეთონ საბძლები და კალოს ფორნი ყოველი პურის პატრონი კაცი თითოსა და ოროლს საპალნეს ბზეს შთაყრიდენ და შეინახავდენ. თუ მეფე მიბძანდა, ხომ მოიხმარებენ მაშინ მას ბზესა, თუ არა და ისევ გლეხთა დახარჯონ, ოდესცა შემოაკლდეს ბზე; და მერე კიდე კალოობის დროს ავსონ ისევ საბძელი. გარნა ეს უმჯობესი იქმნების, უკეთუ ყოველი ბარის სოფლებნ ვისიც გინდა ყმა იყოს შეძლებისამებრ დიდის სოფლისა და მცირესა, ესთქვათ, ოცდა ხუთის დღის მიწიდან, ვიდრე ხუთს დღიურს მიწადმდე და ოცდა ათამდისაც მოხნან საზოგადოდ; და დათესონ ნახევარში პური და ნახევარში ქერი, თითონვე მომკონ გალეწონ და შეინახონ, ბეღლებში ქერი და პური. ხოლო ბზე საბძელში დაბეჭდონ სოფელმან, და იყოს ესე. უკეთუ ქვეყანას დასჭირდეს, მაშინ იგინი არა შეწუხდებიან, პური მზად იქნების და იქიდამ დაიხარჯება, უკეთუ შიმშილობა (იქნეს) თვითონ ისევ სოფლები მოიხმარენენ. უკეთუ არა და ვისაც მოაკლდების იმ სოფელში, ისესხებს იქიდამ რაოდენიც კიდი უნდა და კალოობის დროს მიიტანოს სარგებლით ათი თორმეტად, და დასდოს ბეღელსა მას შინა. ესე ყოველწლიე უნდა მოიხნას, დათესოს, მოიმკოს, გაალეწოს და შეინახონ. პურიც წარმატებაში შეეა და ხალხისთვისაც იქმნების სარგებლიანი.

ეგრეთვე მეფე, რომელსაც ქალაქი მიბძანდება, პირველი დღე მოქალაქეთ ხარჯი უნდა იყოს, მეორე დღე მოუარაესა, და მერე საბატონო ხარჯი. სხვებ შეწუხება არასი იქმნება. სამეფოდ მეიკონომეთა უნდა ჰქონდეთ ყოველგან გამზადებული ადრითვე პური, საკლავიც, ერბოც, ბრინჯიც და ცხენის საზრდოც—უზრუნველად. **) ხოლო სხვანი, ვინც მირთმეენ ძღვენსა ანუ ინე დაჰპატიჟებენ, იგი სხვა არის და მათი ნება. ოდეს წაბძანდება მეფე სადმე. ვინც თვითონ ინებოს, რამდენიმე ვეამი მოხელეთაგანი იხლოს თანა, და ესენი იქმნებიან იკონომიის ხარჯით და მეფესთან სუფრაზედ. ხოლო სხვა ჯარის კაცთა ექმნებათ თვისი განწესებული ულუფა.

მეფე ანუ სამსა ანუ ოთხსა წელსა შინა რომ დაიელიდეს თვისსა სამეფოსა, არ იქმნების ურიგო, ამისთვის ნახავს მათსა მდგომარეობასა, და თუ აკლიათ რათმე, მისცემს განკარგულებასა.

---

*) ჯეთონ ერბო და ყველი, მატყლით ქსოონ საფენნი და სხვა საჭიროებანი.

**) იკონომოსთა ყოველი გაწი სასმარი ნიკთი ხარჯისა ყოველთვის უნდა აქუნდეთ გამზადებული სამეფოდ მეკლესიისათვის ისე დღის სარჯი, და რაც მეფის სასახლეს მოუნდეს.

ჯარში წასვლისათვის.

სამეოცდა მეცხრე. ოდესაც ჯარად წაბძანდება სადმე მეფე, მაშინ ჯარსა ექმნების თავადი ულუფაჩ ერთად: ამისთვის უნდა იყენენ ურდობაზრის ბაზნი დადგენულნი, რომ ჯარისათვის ყოველთა წარიღონ პური, ქერი, სახორცე, სამარხო, ღვინო, რაც საჭიროება არის გასასყიდლად ჯარსა შინა, და იყოს მოუკლებლად. აცხობდენ პურსა, ხარშვიდენ ხორცსა და აქუნდეთ არაყი და სხვა წერილმანნი. აგრეთვე იყენენ ნალბანდნი და ყოველნი ხელოსანნი. ამაში სამეფო ეკონომიაც იქმნება და ექმნება შესავალი მეფეს.

რომელიც ნოქარად ჯარი დაესწერეთ ზემორე, ათმან კომლმან კაცსან მოსცეს ერთი კაცი ხუთს წელიწადს თავისის პურით; დღეში ორი შაური რომ მისცენ შაი ფული პურის მაგიერ, ის უმჯობესი იქნება რომ იქა წელიწადნი სამ თუმანს ექვს მინალთუნს და ათშაურს. ეს კარად ეყოფა საჭველად ერთს კაცსა პურისა შესატანებელისათვის. ცხენოსანს კაცს ჰქონდეს ერთი ალაზი ცხენსა და კაცსა.

აგრეთვე ქეეთის ჯარს ათ კაცზედ ერთი ან ცხენი საკიდარი ან დაბალი ულაყი ჰყვანდეთ. აქუნდეთ ორ კაცს ერთი ნამგალი, ერთი ხელაფქაი ამისთვის ოდეს ჯარიანობა მოხდეს ზაფხულის დროს ეინიცობა არის სხვას ქეეყანაში, მაშინ მოიმკიან მტრის პურსა თავისთვის და დაბერტყენ და დაფქვენ ხელით წისქვილებითა. მით აგრეთვე თვისთა ბარგთა წაიღებენ მთა საკიდრებითა. ათ კაცზედ ჰქონდეთ თითო ქვაბი ყურიანი დასაკიდებელი საქმლის მოსახარშავად. აგრეთვე წყლის ჭურჭლები, შეკერილი ყელეიწრო მათარები თალათინისა და გუდები, ეითარცა არს ჩვეულება; აქუნდეთ ნაბადნი სახუარაედ და ამათი ტანისამოსი იყოს მოკლე წაღის საკვეთი და ქუდის გასხუთებული, ხოლო სხვა რაც საჭიროება არის, ყოველითურთ უნდა იყოს მზა, რომ დაბრკოლება არა ჰქონდეს რა ჯარსა. ეს სახედვე ცხენოსათა, ხოლო სხვა კომლად ჯარი, ოდესაც საჯაროდ საჭირო საქმისათვის გამოელენ, ეითარცა არს ჩვეულება, რამდენისამე დღითა თავისის ხარჯით წამოელენ და მერე ამათაც იმ სახედ მიეცეს ფული ხაზინიდამ, ეითარცა ზემორე აღეწერეთ, ხოროგისათვის ხასყიდლად, როგორც ძველად ჩვეულება ჰქონდათ; ქართველთა ჯარში დაუკლებობაა და აგრეთვე მეწინაველნი, მემარჯუენენი, მეპარცხენენი, მეფეკანენი და სხვანი, ესევე ისე იყოს განწესებითა, აყრაც, დადგომაც რიგიან და გარჩევით თვის თვის საჯარდლოდ და სამინაშოთ. ხოლო ომის დროს ეინმცა უკრთესი იქმნების მას ქამსა მხედრობისა, მან უწყეს თუ ეითარი განკარგულება მი'ცეს ჯარს.

ხოლო სხვებ აეკაცობა, ტაცება სოფლებში, ხალხის შეწუხება უნდა იყოს ესრეთ დაკრძალული, რომ აეკაცობის მენელნი სიკვდილის გარდა არც დაშაებენთ და არც დიდს გეეგითა დაიზოგოს. რათ არა განირყენას ხალხი.

ესეცა უნდა იყოს კანონად დადებული, რომ იკოდეს რიგიან თავისის უფროსის მოხელის უმცროსთაგან მორჩილება და არა ურჩება, გარდა მამულის მეუხანათობისა და მეფისა; და უკეთუ ენმე სხვებ ურჩ ექმნის თავისა უფროსს, ჰაჯულებისა მეჩრ დაისაჯოს შეკცოდე იგი.

ოდესაც ჯარმან გაიმარჯოს მტერსა ზედან, მაშინ ათა მათ გაუყოფდეს უფროსი მათი რიგიან, და ნუ ექმნება შური; ეინმცა გაიმარჯოს მტერზედან, წარმოედგინოს მეფეს ჯილდოსათვის.

უკეთუ დელა მოიტანონ მტრისა ეითარცა არს დებულება სამეფო ფანჯიაქსი, ისე აიღებდენ და სხვათა განყოფდეს სარდალი მათი შეფარდებით, ხოლო სასარდლოსაცა მიართმევენ რასმე, და ერთის კაცს წილიცა ერგოს მათსა სარდალსა.

უკეთუ ციხე ანუ ქალაქი აიღონ სადმე, ეინმცა ამა ქალაქის მებატონეა, მისსა ქონებასა და ცოლშვილსა ნუ შეახებენ ხელს ჯარის კაცნი, და თუ ძლიერი ბრძოლა არ უყონ, ნურც გაუწყვეტენ ხალხსა. ხოლო სხვებ ხალხის ქონება, თეთრი თუ ფარჩა, ესენი იქმნების ჯარისა, ეინც რას იშოვის მაშინ. ხოლო ტყვენი, ტყეია-წამალი, სურსათი და ხაზინა უნდა დაიღოს სამეფოდ. რომელნიც გარეთ დაშთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან ჯარნი ზურგის შესანახავად ამათ მერე უნდა დაეცეთ დასტური, ის ნაშო�riანი ამათ ადგილს დადგენენ, და მერე ესენი შეიდგენენ ქალაქში. არც ესენი დაშთებიან უნაწილოდ. და თუ ვერ იშოვონ რა, მეფემან უბოძოს ხაზინიდგან. ეს უკეთესი იქნება, ყოველი სოფლის კაცი ორი წილი, თუ ნახევარი რომ შეუშონ ქალაქში და სხვანი დაშთენ კარში. რაც ამ სოფლის კაცთ იშოონ, ამ თაეის მეზობლებსაც დაუდონ წილი.

უკეთუ ქალაქი, ანუ ციხე ადრეეე შემოურიგდენ, მაშინ ჯერ არს ყოველგან ყარაულების დაყენება, რომე ჯარმან არაფერ შეაწუხოს შემორიგებულნი ხალხი.

რაღადგან ყოველი მოხელეთ კოშლად კაცისას ექმნებათ ჯამაგირი, იგინი ნურღა იკადრებენ კაცის დათხოვნას და თეთრის გამორთმეეას, ეთარცა არს ესე ჩვეულება. და თუ იკადროს ვინმე, გარდახდეს მას ხაზღაური,

და სხვებრ საკუთრად არღა მოეიხსენიებ გძლად, ჯარის რიგებისა ამისთვის სხვა საკუთარი ჰსჯული უნდა დაიდოს, და ესე ეკამარე აქა.

შეწირულებანი.

მღვდლის დიონოს კუტალიასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი.

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნუს გვბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ეკრეთვე ჩემს მრავალ ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამი ბასტუმანის წმ. თეოდორე ტიერონის ეკლესიის სხვა და სხვა ნივთები. აი სია შემწირველთა: მარია ბაშაძისა ჩიქოვანის ასულმა შემოსწირა ორი დიდრონი შანდალი ბრინჯაოსი და სიდგომელი ამბაინზედ, ღირებული 20 მან.; სალომე მუნარგიასა გკოთუს ასულმა მარსვანი, ღირებული 7 მანეთისა. პიდეკრდი პაუკორასა კიტიას ასულმა ორი პატარა შანდალი ბრინჯაოსი ტრაპეზზედ დასადგამი, ღირებული 3 მანეთისა.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1896 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მოამბე"-ზედ

(III წ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში:			საზღვარ გარეთ:		
1 წლით	. . . .	10 მან.	1 წლით	. .	13 მან.
6 თვით	. . . .	6 »	6 თვით	. .	7 »
3 თვით	. . . .	4 »	3 თვით	. .	5 »

ესისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძლება, შეუძლიან შემოიტანონ: 1 იანვარამდე 4 მან. 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სეპტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის აღრეს: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ». 3—3

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია — გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი.

განცხადება.

ყოველ დღიური შრომა და ცხოვრება არის ბუნებითი და მასთან უპირველესი აღზრდელი ადამიანისა. მაგრამ ღღეს იმდენად მრავალ-გვაროვანია ეს შრომა-ცხოვრება, რომ აუცილებლად საჭირო ხდება ხელოვნურად მომზადება მისთვის. თქმა არ უნდა, რომ სკოლას უპირველ აქ საპატიო ადგილი; იგი დიდი ხანია ცნობილია, როგორც უმთავრესი საშუალება ადამიანის და ხალხის განათლება-განვითარებისათვის. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ჩვენში: ა) უმეტესი ნაწილი ხალხისა მოკლებულია სკოლურს სწავლასა; ბ) ვინც სწავლობს, სწავლობს ხოლო მცირე ხანს, ე. ი. კმაყოფილდება პირველ დაწყებითი სწავლით და გ) უმეტეს შემთხვევაში დღეანდელი სკოლა ისეა მომართული, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს საღი ადამიანის მოთხოვნილებას.

ამიტომ არის საჭირო, რომ ყველა თვითონ იცადოს თავისი თავის განვითარებას, ადამიანური შრომა-ცხოვრებისათვის მომზადებას.

ღვთის მადლით თვით ჩვენსავე ცხოვრებაში მოიპოვება ამისი საშუალება; მას ეპირება ხოლო ფრთებს შესხმა, გავრცელება. ეს საშუალება არის ხეირიანი **მწიგნობრობა ანუ წიგნი.** მწიგნობრობა ჭეშმარიტის ადამიანს უფრო ადვილად და ჩქარა მიეწიოს თავის უკეთეს განძრახვებს; მწიგნობრობა ჭკვნის და განამტკიცებს ჩვენს ხასიათს; მწიგნობრობა აღორძინებს ადამიანში ღვთიურს აზრს და ცხადად გვაგებინებს იმას, თუ რომელი მხარეა ჩვენში თუ სხვაში კარგი და რომელი ცუდი; მწიგნობრობა ამდიდრებს ჩვენს სულს ყველა იმათ, რაც-კი დიდი რამ გაკეთებულა და თქმულა ქვეყნად!... ასეთი დიდ-მნიშვნელოვანია ადამიანის ყოველის სისრულით აღზრდისათვის მწიგნობრობა, მაგრამ სამწუხაროდ მეტად მცირე ადგილი უპირავს მას ჩვენს ყოველ-დღიურს ცხოვრებაში! ჩვენ ეცხოვრობთ უკეკმოთ, უწესოთ, უიდეალოთ, ეცხოვრობთ წუთით, ვნებით და არც კი ვართ მიჩვეულნი ქართული წიგნის კითხვას იმ აზრით, რომ სრულ ეყოთ მით (წიგნით) ჩვენი შემეცულებანი ქვეყანაზე და ცხოვრებაზე, სრულ ეყოთ მით თვით ჩვენი ცხოვრება, არ ეცდილობთ გაეხადოთ წიგნი ჩვენი ცხოვრების და ბუნების უპირველეს მოთხოვნილებად!...

წიგნის ამ გვარ კითხვასაც ეპირება ფუფუნება, აღზდა, ეპირება მიჩვევა, სწავლა. მეტად დიდს სარგებლობას მეფუტანს კაცი თავისს თავს, თუ ეცდება აღზარდოს თავისში ამ გვარი შეხედულება წიგნზე, ე. ი. თუ ეცდება მარად და ხარბად ეძიოს წიგნებში ადგილები თავისი სიცოცხლისა, მეცნიერული საფუძვლები თავისი ამ ქვეყნად ცხოვრებამოქმედებისა. მეტად ადვილი-კია ყველა წიგნის მგზდნესოვის სწორედ ამ გვარ მოთხოვნილებად გაიხადოს ქართული წიგნის კითხვა! საჭიროა ხოლო, რომ კაცმა ნახევარი საათი მაინც შესწიროს ამ საქმეს ღღეში და ვინც ერთს საათს შესწირავს, ხომ ბრძენსაც დაუხლოვდება!

ეი დასაკმაყოფილებლად ამ გვარი კითხვისა, განვაგრძობთ ჩვენ ქართული წიგნების გამოცემას 1896 წელსაც. ამ წლისათვის ჩვენ გვაქვს დამზადებული 18 ახალი ქართული წიგნი. მათ რიცხვში, სხვათა შორის გამოვა რამდენიმე უწარჩინებულესი თხზულება ევროპის გამოჩენილ მეცნიერთა. ჩვენი მიზანია წელ-ნელა და წლითი წლამდის შეექმნათ ხეირიანი საყმაწვილო, სახალხო და სამეცნიერო მწიგნობრობა ჩვენს ენაზედაც და მიეცეთ მით საშუალება თვით-განვითარებისა და გონებით განახლებისა ყველა იმათ, ვისაც სურია ეს. ამთი რიცხვი-კი მოგეხსენებათ ლეგონია ჩვენში!

გარდა თვრამეტი წიგნისა ჩვენ დაურიგებთ წლიურს ხელის მომწერლებს ალბომს **«ქართველთა ნათესავნი ანუ ტომნი»,** რომელშიაც მოთავსებული იქნება ასამდის ტიპიური სურათი ჩვენი ხალხის ყველა ტომებისა. ეს იქნება პირველი ნაბიჯი—თვალსაჩინოდ გავიცნოთ ყველა ისინი, ვინც მარად ჩვენს სისხლს და ხორცს შეადგენენ.

პირველი ორი წიგნი; სახელდობრ: „მეოცეს საუკუნეს შვილი“ 12 სურათით და **«შრომა, სამდადრე და ფუფლება»** ადამიანის სურათით, გამოვიდა წარსული წლის საშობაოდ და დაუყოვნებლივ დაურიგდება ხელის-მომწერლებს.

ფასი 18 წიგნისა და მოახსენებული ალბომისა გაგზავნით არის 4 მან. მსურველს შეუძლია ორ-ორი მანეთობითაც შემოიტანოს ეს ფული: პირველი ორი მანეთი ხელის-მოწერის დროს, ხოლო დანარჩენი—პირველ მაისამდე. ფული და ხელ-ნაწერები (პროგბების წარწერით) უნდა გამოიგზავნოს: въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомову.

ივანე როსტომაშვილი.

სახელმძღვანელონი ‚ ‚ სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერილნი ‚ ‚ ‚

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ
კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 4 »	— ,, ორივე გამოცემა 3 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 1 »

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით **სამ მანეთად.**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ-ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსულის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში,** აგრეთვე **ქუთაისშიაც.** და **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **გორში**—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ. ილია ი. ფერაძესთან; **საჩხერეში**— მ. ყარალან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫР »

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი **შოთა რუსთაველის მხატვრობა** უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა

საქართველოს მეფის წმ.

დავით აღმაშენებლისა

და

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა

ეს მხატვრობანი ფულის შემოტანისათანავე გაეგზავნება ყველა ხელის მომწერთა.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა და წესის აგება.—ანდერძი იმერეთისეპისკოპოსის გაბრიელისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.—საისტორიო მასალა.—შეწირულება.—განცხადებანი.

Гамбашидзе. *Дозволено цензурою.* 31 Января 1896 г.
1. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.